

დამატება #2

საქართველოს მთავრობასა და შპს  
„საქართველო-ურბან ენერჯის“ შორის  
2007 წლის 29 მაისს  
დადებულ მემორანდუმზე  
ქ. თბილისი, საქართველო  
24 ივნისი, 2016 წ.

SUPPLEMENT #2

TO THE MEMORANDUM OF  
UNDERSTANDING SIGNED BETWEEN THE  
GOVERNMENT OF GEORGIA AND  
GEORGIAN URBAN ENERGY LTD  
ON MAY 29, 2007  
Tbilisi, Georgia  
24 June, 2016

<p>წინამდებარე დამატება (შემდგომში წოდებული, როგორც „დამატება“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:</p> <p>საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ;</p> <p>შპს „საქართველო ურბან-ენერჯი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ: 204885044, წარმოდგენილი ხელმძღვანელი პირების, ნოდარ კურტანიძისა და მურათ ქუჩუქის მიერ;</p> <p>სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში წოდებული, როგორც „სსე“), ს/კ: 204995176, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;</p> <p>სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ (შემდგომში წოდებული, როგორც „საქრუსენერგო“), ს/კ: 211324468, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომეო მიქაუტაძის მიერ;</p>	<p>The present Supplement (hereinafter referred to as “Supplement”) is signed by and between the following parties:</p> <p>Government of Georgia (hereinafter referred to as “GOG”), represented by the Minister of Energy of Georgia, Mr. Kakha Kaladze;</p> <p>LLC “GEORGIA-URBAN ENERGY” (hereinafter referred to as “Company”), ID: 204885044, represented by its Managers, Mr. Nodar Kurtanidze and Murat Kucuk;</p> <p>JSC “Georgian State Electrosystem” (hereinafter referred to as “GSE”), ID: 204995176, represented by its Rehabilitation Manager/Chairman of Management Board, Mr. Sul Khan Zumburidze;</p> <p>JSC “United Energo System SAKRUSENERGO” (hereinafter referred to as “SAKRUSENERGO”), ID: 211324468, represented by its General Director, Mr. Romeo Mikautadze;</p> <p>LLC “Energotrans” (hereinafter referred to as “ET”), ID: 204991786, represented by its Director, Mr. Kakha Sekhniashvili;</p> <p>JSC “Electricity System Commercial Operator” (hereinafter referred to as “ESCO”), ID: 205170036,</p>
--	--

<p>შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ენერგოტრანსი“), ს/კ: 204991786, წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;</p> <p>სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ.</p>	<p>represented by its General Director, Mr. Vakhtang Ambokadze.</p>
<p>1. მხარეები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო-ურბან ენერჯის“ შორის 2007 წლის 29 მაისს დადებულ (შემდგომში 2009 წლის 10 აპრილს, 2013 წლის 18 თებერვლსა და 2016 წლის 8 თებერვლს მხარეების მიერ შესწორებულ) მემორანდუმს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში წოდებული, როგორც „ელექტროსადგური“) მშენებლობის შესახებ (შემდგომში წოდებული, როგორც „მემორანდუმი“) დამატების სახით დაერთოს შემდეგი გარდამავალი დებულება:</p>	<p>1. In accordance with the Laws of Georgia, the Parties agree on the following Provisional Article in the form of supplement to the Memorandum of Understanding signed between the Government of Georgia and “Georgian Urban Energy” LLC on May 29, 2007 (further amended on April 10, 2009, February 18, 2013 and February 8, 2016 by the Parties) with respect to Paravani Hydro Power Plant (hereinafter referred as “HPP”) in Samtskhe-Javakheti Region (hereinafter referred as “MOU”):</p>
<p>გარდამავალი დებულება</p> <p>„1. საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, 2016 წლის სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის</p>	<p>Provisional Article</p> <p>“1. In order to ensure electricity demand of Georgia during September 2016, October 2016 and November 2016, the Company</p>

თვეებში ელექტროსადგურის სრული ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია კომპანიის მიერ უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ტარიფით 4.3 (ოთხი მთელი სამი მეათედი) აშშ ცენტი - 1 კვტ.საათზე, „ესკოსა“ და კომპანიას შორის 2014 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების შესაბამისად.

2. ამ დებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, კომპანია არ არის ვალდებული, გადაიხადოს „დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული კომპენსაცია „მიიღე ან გადაიხადე“ პრინციპის საფუძველზე, „სსეს“, „საქრუსენერგოს“ ან/და „ენერგოტრანსის“ წინაშე ნებისმიერი ოდენობით, ამავე შეთანხმებით განსაზღვრული საექსპორტო საპროგნოზო მოცულობების შესაბამისად, მათი მომსახურების გამოუყენებლობისა და „ახალციხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ წილზე გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით უზრუნველყოფის

shall sell the full factually generated electricity by the HPP exclusively to ESCO with a tariff of 4.3 (four point three tenths) US Cents per KWh in accordance with the “Contract on the Guaranteed Purchase of Electricity” signed between ESCO and the Company on October 28, 2014 (hereinafter referred as “PPA”).

2. Provided that the company performs its obligations under Paragraph 1 of this Provisional Article, the Company shall not be obliged to pay any Compensation as defined in the TDA under the take-or-pay principle to any of GSE, ET and/or SAKRUSENERGO for not utilizing services from them in an amount specified in the export forecast volume as defined in the TDA and for being provided necessary capacity through its own portion of “Akhaltzikhe-Borchka” power transmission line to transmit electricity to the Turkish border based on the take-or-pay principle, during September 2016, October 2016 and November 2016.”

<p>მომსახურებისთვის, ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემის მიზნით, 2016 წლის სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში.“</p>	
<p>2. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული გარდამავალი დებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება არ წარმოადგენს მემორანდუმის ან/და „სსეს“, „საქრუსენერგოს“, „ენერგოტრანსსა“ და კომპანიას შორის 2014 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული „დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის შესახებ“ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას.</p>	<p>2. The Parties agree that the performance of the obligations under the Paragraph 1 of the Provisional Article above by the company, shall not be deemed as a breach of any of its duties or obligations under the MOU and/or under the “Power Transmission and Dispatch Agreement” signed on October 29, 2014, by and between GSE, ET, SAKRUSENERGO and the Company (hereinafter referred as “TDA”).</p>
<p>3. „ესკო“ და კომპანია კისრულობენ ვალდებულებას, წინამდებარე დამატების ხელმოწერისთანავე დაუყოვნებლივ გააფორმონ დამატება „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულებაზე ზემოაღნიშნული გარდამავალი დებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის მასში ასახვის მიზნით.</p>	<p>3. ESCO and the Company hereby undertake to sign immediately a supplement to the PPA in order to reflect the provision of the Paragraph 1 of the Provisional Article above upon signing of this Supplement.</p>
<p>4. „სსეს“, „საქრუსენერგო“, „ენერგოტრანსი“ და კომპანია კისრულობენ ვალდებულებას, წინამდებარე დამატების ხელმოწერისთანავე,</p>	<p>4. GSE, ET, SAKRUSENERGO and the Company hereby undertake to sign immediately a supplement to the TDA in order to reflect the provision of Paragraph 2</p>

<p>დაუყოვნებლივ გააფორმონ დამატება დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის შესახებ“ შეთანხმებაზე ზემოაღნიშნული გარდამავალი დებულების მეორე პუნქტით გათვალისწინებული პირობის მასში ასახვის მიზნით.</p>	<p>of the Provisional Article above upon signing of this Supplement.</p>
<p>5. წინამდებარე დამატება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ავტომატურად შეწყდება კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული გარდამავალი დებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთანავე.</p>	<p>5. The present Supplement enters into force upon its execution by the Parties and shall automatically terminate once the Company performs the obligation under Paragraph 1 of the Provisional Article above.</p>
<p>6. წინამდებარე დამატება არ წარმოადგენს და არ განიმარტება მემორანდუმის მუდმივ შესწორებად და იდება მხოლოდ დამატებით განსაზღვრული მიზნებისათვის.</p>	<p>6. The present Supplement will not be deemed or construed as a permanent amendment to the MOU and is signed only for the purposes specified hereunder.</p>
<p>7. წინამდებარე დამატება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. დამატების სხვადასხვა ენაზე შესრულებულ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ ვერსიას.</p>	<p>7. The present Supplement is made in Georgian and English languages, in 6 equally legally binding copies. In the event of any inconsistency between Georgian and English versions, the Georgian version shall prevail.</p>
<p>8. წინამდებარე დამატება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>8. The present Supplement shall be governed by, and construed in accordance with, the laws of Georgia.</p>

<p>9. წინამდებარე დამატების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.</p>	<p>9. Any dispute between the Parties in connection with the present Supplement shall be definitively settled by the Courts of Georgia in accordance with the laws of Georgia.</p>
--	--

მხარეთა ხელმოწერები:

Signatories:

საქართველოს მთავრობა  
Government of Georgia

კახა კალაძე  
Kakha Kaladze

შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“  
LLC “GEORGIA-URBAN ENERGY”


ნოდარ კურტიანიძე  
Nodar Kurtanidze

მურათ კუჭუქი  
Murat Kucuk

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“  
JSC “Georgian State Electrosystem”


სულხან ზუმბურიძე  
Sulkhan Zumburidze

სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგო“  
JSC "United Energy System AKRUSENERGO"

  
რომეო მიკაუტაძე  
Romeo Mikautadze




შპს „ენერგოტრანსი“  
LLC "Energotrans"

  
კახა სეხნიაშვილი  
Kakha Sekhniashvili



სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
JSC "Electricity System Commercial Operator"

  
ვახტანგ ამბოკაძე  
Vakhtang Ambokadze



## საქართველოს მთავრობის განკარგულება


№1056 2016 წლის 9 ივნისი ქ.თბილისი

~~საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო-ურბან ენერჯის“ შორის 2007 წლის 29 მაისს დადებულ მემორანდუმზე დამატების დადების თაობაზე~~

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველო-ურბან ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოზ“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები დამატება.

2. საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მემორანდუმზე დამატებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი





**სსს**

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Barataashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ/ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101



2295-09-2-201605170921

N 2295/09

17/05/2016

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 2016 წლის 11 მაისის N04/1819 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო-ურბან ენერჯის“ შორის 2007 წლის 29 მაისს დადებულ მემორანდუმზე N2 დამატების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ შენიშვნები არ გავაჩნია.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი

[www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge)



# ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2 / 2 Barateshvili str, Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/ტელ./ფაქსი: +995(32)2510140

18/05/2016

N 264

264-01-2-201605181625



## საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 11 მაისის N 04/1819 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერგოტრანსმა" განიხილა თქვენს მიერ ზემოთ აღნიშნული წერილით მოწოდებული საქართველოს მთავრობასა, და შპს „საქართველო ურბან ენერჯის“ შორის 2007 წლის 29 მაისის დადებულ მემორანდუმზე N2 დამატების პროექტი, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,  
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი 2401420; ფაქსი 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/594  
16/05/2016

594-01-2-201605161546



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
შაღღიღეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 11 მაისის #04/1819 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“-ს შორის 2007 წლის 29 მაისს დადებულ მემორანდუმზე N2 დამატების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამროკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი საქართველო"  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საკანონმდებლო ასამბლეის მიერ 07.08.2004 წლის კანონით 200170034

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2004; ID CODE 200170034



# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KAR(0)19708435416

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, ვაჟა-ფშაველას ქ. 24, ტელ. 525 11 48, 240 53 54, ფაქსი 527 62 44 0762@justice.gov.ge  
24 A. Gorgaseli st., 0114, Tbilisi, Tel. 525 11 48, 240 53 54, Fax 527 62 44 0762@justice.gov.ge

№3256

19 მაისი 2016 წ.

53055

საქართველოს იუსტიციის  
მინისტრის მოადგილე  
ნატონ ბრეკლი

ნატონ ბრეკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ წიგნ 2016 წლის 19 მაისის №04/1828 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მოგვრობას და მის „საქართველო-ურბან ცენტრის“ შიდა 2007 წლის 29 მარტს დადგენულ შემორანდუმზე №2 დამატების პროექტი, რომელსაც დაკავშირებით წერილობით, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

მ. იხაიჭავაძე

მინისტრის მოადგილე


გონა დონთუიჯანიძე

საქრუსენერგო

სს საქრუსენერგო-ს მენეჯმენტის სისტემა

SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N 05/437  
13/05/2016

437-05-2-201605131519



საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ზ-ნ ირაკლი ხმალაძეს

ზატონო ირაკლი,

სს გეს „საქრუსენერგო“-მ განიხილა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2016 წლის 11 მაისის № 04/1819 წერილი საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“-ს შორის 2007 წლის 29 მაისს დადებული მემორანდუმის № 2 დამატების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი